ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 186
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი „ 21 " დეკემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"ს/კ 215082764. **მისამართი:** ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93. **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა" ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519. **დირექტორი:** რევაზ ბაბილუა. (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ

შ.პ.ს. „ ფოთის სახანძრო საზოგადოება" ს/კ 215129037; დირექტორი ამური მაისაია **მისამართი:** ქ. ფოთი. გორგასლის ქ 7/17, ტელ: 0790 62 84 32; 555 62 84 32; 551 62 84 32; ელ. ფოსტა: fotissaxandzrosazogadoeba@gmail.com **საბანკო რეკვიზიტი: „საქართველოს ბანკი" ბ/კ** BAGAGE22;. **ა/ა GE98BG0000000117988100.**

(შემდგომში "მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1„მიმწოდებელი" უზრუნველყოფს „შემსყიდველ"–ს მიაწოდოს მომსახურება ჩამონათვლის შესაბამისად:

№	CPV კოდი	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ღირებულება
1	75251000	სახანძრო უსაფრთხოების საევაკუაციო გეგმა, A3 ჩარჩოთი.	ცალი	11	50.00	550.00
2	75251000	სახანძრო უსაფრთხოების საევაკუაციო გეგმა, A4 ჩარჩოთი	ცალი	3	15.00	45.00
		სულ:				595.00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 595.00 (ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3 საქონლის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

4.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის: ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება– ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი"–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.2. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ"–ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,05 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. რომელიც დაკავდება ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამისილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

9.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

9.4 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

10. უფლებების გადაცემა

10.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

შემსყიდველის მხრიდან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: რევაზ ბაბილუა

მიმწოდებლის მხრიდან

შ.პ.ს. „ ფოთის სახანძრო საზოგადოება"

დირექტორი: ამური მაისაია